საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/97 "13" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

შ. კაკაურიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №1/83 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 37 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 30 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 7 მოსამართლის, მათ შორის, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის - შალვა კაკაურიძის განაცხადი.

შალვა კაკაურიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. ამ პერიოდში იგი უფლებამოსილებას სხვადასხვა სასამართლოებში ახორციელებდა, კერძოდ იყო ბათუმის საქალაქო, საჩხერის რაიონული და ბოლოს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. რაიონულ სასამართლოში მისი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით, შ. კაკაურიძეს შესწევს უნარი იმუშაოს ნებისმიერი სირთულისა და დატვირთვის პირობებში, შესაბამისად, იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს სამოსამართლო უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, შალვა კაკაურიძე გათავისუფლდეს გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე